სერბეთის ინტელიგენციის წარმომადგენლები უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესიის მორწმუნეების დევნის შეწყვეტისკენ მოუწოდებენ

სსკგ-ის კომუნიკაციის სამსახური, 20.06.2023. სერბეთის ინტელიგენციის წარმომადგენლებმა გამოხატეს ღრმა შეშფოთება უკრაინაში ადამიანის ფუნდამენტური უფლებების უხეში დარღვევის გამო, კერძოდ, საქმე ეხება რელიგიურ თავისუფლებასთან დაკავშირებული კონსტიტუციური ნორმებისა და კანონების უხეშ დარღვევებს. აკადემიური საზოგადოების ასზე მეტმა წარმომადგენელმა, ასევე სერბეთის რესპუბლიკისა და სხვა იმ ქვეყნების კულტურის სფეროში მოღვაწეებმა, სადაც სერბი მოსახლეობა ცხოვრობს, თავიანთი ხელმოწერები დააფიქსირეს მიმართვაზე, რომელიც გაეგზავნა უკრაინის ხელისუფლებასა და საერთაშორისო ორგანიზაციებს.

„ის, რაც ახლა ხდება უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესიის მღვდლებისა და მორწმუნეების მიმართ, სხვა არაფერია, თუ არა სახელმწიფო ტერორი“, – განაცხადეს მათ და აღნიშნეს, რომ უფლებადამცველების მონაცემებით, უკრაინაში დღეისათვის კანონიკური ეკლესიის 75-ზე მეტმა მღვდელმა და ასობით მორწმუნემ განიცადა სხვადასხვა ფორმის რეპრესია.

„კულტობრივი ნაგებობების დაწვის ცალკეული შემთხვევების გარდა, მხოლოდ 2022 წელს, ხელისუფლების დაუფარავი მხარდაჭერით, კანონიკური ეკლესიის დაახლოებით 250 ტაძრის მიტაცება მოხდა. მიმდინარე წელს ეს ტენდენცია არათუ შენარჩუნდა, არამედ გაძლიერდა კიდეც. ახლა ისინი, ვინც მხარს უჭერენ ეგრეთ წოდებულ „მეუ“-ს, რომელსაც თხუთმეტი ადგილობრივი მართლმადიდებელი ეკლესიიდან თერთმეტი არ აღიარებს, იტაცებენ ეკლესიებს ხმელნიცკის, ჩერნოვიცის, კიევის და უკრაინის სხვა რეგიონებში. უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესიის მღვდლები და მორწმუნეები სხვადასხვა სახის დევნას განიცდიან. მათ არა მხოლოდ აშინებენ, არამედ სცემენ, ასახიჩრებენ, ცრემლსადენი გაზით წამლავენ. „მეუ“-ს მხარდამჭერები, ხშირად სახელმწიფო სტრუქტურების დახმარებით, არ ერიდებიან ფიზიკურ ძალადობას უმე-ის ეპისკოპოსების მიმართაც კი. უფრო მეტიც, ზოგიერთ ეპისკოპოსს შიდა პატიმრობაში ან სანქციების ქვეშ ამყოფებენ ცუდად მოფიქრებული, შეთითხნილი მიზეზებით“, – ნათქვამია მიმართვაში.

სერბეთის ინტელიგენციის წარმომადგენლებმა ასევე აღნიშნეს, რომ უკრაინაში რეგიონალური და საქალაქო საბჭოები იღებენ გადაწყვეტილებებს კანონიკური ეკლესიის აკრძალვის შესახებ თავიანთ რეგიონებში. უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესიის აკრძალვის კანონპროექტები დარეგისტრირდა უკრაინის უმაღლეს რადაში, ხოლო 2023 წლის 15 მაისს სასამართლო გადაწყვეტილებით მისთვის ოფიციალური სახელის ჩამორთმევა და საეკლესიო ქონების სხვა კონფესიებზე გადაცემა გახდა შესაძლებელი. „უკრაინის სახელმწიფომ არათუ არ დაუბრუნა უკრაინის მართლმადიდებელ ეკლესიის საბჭოთა პერიოდში უკანონოდ ჩამორთმეული ქონება, არამედ დღესაც ართმევს მას უფლებას, ისარგებლოს იმ მიწის ნაკვეთებით, რომლებზეც განლაგებულია მისი კულტობრივი ნაგებობები“, – ნათქვამია განცხადებაში.

„იმის გათვალისწინებით, რომ ჩვენ ვცხოვრობთ XXI საუკუნეში, ძნელი წარმოსადგენია, რომ დღევანდელ უკრაინაში, ისე, როგორც დასავლეთის ქვეყნებში, ამდენი ადამიანია არა მხოლოდ გულგრილი, არამედ შემწყნარებელიც კი უმე-ის მორწმუნეების აღმაშფოთებელი დევნისა,” – აღნიშნავენ შემოქმედებითი ინტელიგენციის წარმომადგენლები და მეცნიერები. – იმ დროს, როდესაც თანამედროვე მსოფლიოში მიმდინარეობს სხვადასხვა უფლებების პროპაგანდა, ბევრი თვალს ხუჭავს მილიონობით უკრაინელის ტკივილზე, ცრემლსა და სისხლზე, რომლებსაც უბრალოდ სურთ საკუთარი წინაპრების რწმენა შეინარჩუნონ, – რწმენა, რომელსაც არაფერი აქვს საერთო უკრაინასა და რუსეთს შორის წარმოებულ ომთან და მათ შორის არსებულ პოლიტიკურ პრობლემებთან“.

„ვინაიდან ჩვენი, როგორც ინტელექტუალების მორალური მოვალეობაა, ხმა ავიმაღლოთ უსამართლობის, ადამიანის უფლებების და ღირსების შელახვის წინააღმდეგ, ამიტომ მოვუწოდებთ უკრაინის ხელისუფლებას დაუყოვნებლივ შეწყვიტოს მართლმადიდებელ მორწმუნეთა დევნა და უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესიის ტაძრების ძალადობრივი მიტაცებები“, – აღნიშნეს მიმართვის ხელმომწერებმა.

მათ ასევე მოუწოდეს უკრაინის ხელისუფლებას „უზრუნველყოს უკრაინის მოქმედი კანონმდებლობისა და საერთაშორისო სამართლის დაცვა სინდისისა და რელიგიის თავისუფლებასთან დაკავშირებით“ და მიმართეს ევროპულ ინსტიტუტებს, უფლებადამცველ ორგანიზაციებს, ასევე, მთელი მსოფლიო საზოგადოებას „უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესიის წევრების არა მხოლოდ რელიგიური, არამედ აგრეთვე ადამიანის ძირითადი უფლებების აქტიური დაცვის თხოვნით“. განმცხადებლები საერთაშორისო ორგანიზაციებს მოუწოდებენ „გააგზავნონ თავიანთი დამკვირვებლები კრიტიკულ წერტილებში, სადაც უკვე მიმდინარეობს დევნა და დაეხმარონ ზომების სწრაფ მიღებას, რომლებიც მიმართული იქნება უკრაინის მართლმადიდებელ ეკლესიაზე, მის მღვდლებსა და მრევლზე დევნისა და ადმინისტრაციული ზეწოლის შესაწყვეტად“.

ხელმომწერების აზრით, პირველი რიგის ამოცანებს შორისაა უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესიის იურისდიქციის შენარჩუნება კიევ-პეჩერის ღვთისმშობლის მიძინების ლავრაზე და პოჩაევოს ღვთისმშობლის მიძინების ლავრაზე, რომლებიც „დიდ სიწმინდეებს წარმოადგენენ მთელი მართლმადიდებლური სამყაროსათვის“.

მათ რიცხვში, ვინც მიმართვას ხელი მოაწერა, არის 5 აკადემიკოსი, 49 უნივერსიტეტის პროფესორი, მეცნიერებათა დოქტორები, კულტურის ცნობილი მოღვაწეები, მათ შორის კინორეჟისორი ემირ კუსტურიცა და კომპოზიტორი სვეტისლავ ბოჟიჩი.

წყარო: https://mospat.ru/ge/news/90464/